„ბავშვთა თანდაყოლილი გულის მანკების ეპიდემიოლოგიური თავისებურებები და ადრეული გამოვლენის ორგანიზაციული მართვა საქართველოში“

ელენე ენუქიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნიკოლოზ ფრუიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელენე ენუქიძე

07.06.2026

აბსტრაქტი

ბავშვთა თანდაყოლილი გულის მანკები (თგმ) მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ თანდაყოლილ ანომალიებს შორისაა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა ავადობასა და სიკვდილიანობაზე. დაავადების დროული გამოვლენა და ეფექტიანი ორგანიზაციული მართვა წარმოადგენს თანამედროვე ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სპეციალიზებული სერვისების ხელმისაწვდომობა არათანაბრად არის განაწილებული.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში თგმ-ის ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა, ადრეული გამოვლენის მექანიზმების შეფასება და ორგანიზაციული მართვის მოდელის ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკრინინგის ეფექტიანობას, რეგიონულ ხელმისაწვდომობასა და იმ ბარიერების იდენტიფიცირებას, რომლებიც აფერხებს დროულ დიაგნოსტიკას. კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის პოლიტიკის დაგეგმვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით. მონაცემები შეგროვდა ანონიმური ელექტრონული კითხვარების მეშვეობით, რომლებიც განკუთვნილი იყო როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ისე თგმ-ის მქონე ბავშვთა მშობლებისთვის. მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდებით, ხოლო ღია კითხვებზე მიღებული პასუხები გაანალიზდა თემატური ანალიზის პრინციპების საფუძველზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში თგმ-ის ადრეული გამოვლენისა და მართვის პროცესში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, მათ შორის

რეგიონული უთანასწორობა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და დიაგნოსტიკური რესურსების დეფიციტი, რეფერალური სისტემის არასრულყოფილება და მონაცემთა ერთიანი ეროვნული რეესტრის არარსებობა. ამავდროულად, დადებით ტენდენციად გამოიკვეთა პულსოქსიმეტრიული სკრინინგის დანერგვა და პერინატალური რეგიონალიზაციის პოლიტიკის განვითარება.

კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვთა თანდაყოლილი გულის მანკების ადრეული გამოვლენის, დიაგნოსტიკისა და ორგანიზაციული მართვის სისტემის გაუმჯობესებას საქართველოში.

საძიებო სიტყვები: ბავშვთა თანდაყოლილი გულის მანკები, ეპიდემიოლოგია, ადრეული დიაგნოსტიკა, პულსოქსიმეტრიული სკრინინგი, ფეტალური ექოკარდიოგრაფია, რეფერალური სისტემა, ორგანიზაციული მართვა, პერინატალური რეგიონალიზაცია, რეგიონული ხელმისაწვდომობა, საქართველო.

Abstract

Congenital heart diseases (CHDs) are among the most common congenital anomalies worldwide and have a significant impact on childhood morbidity and mortality. Timely detection and effective organizational management of these conditions represent one of the major challenges of modern healthcare, particularly in countries where access to specialized services is unevenly distributed.

The aim of the present study is to investigate the epidemiological characteristics of congenital heart diseases in children in Georgia and to evaluate the mechanisms of early detection and the organizational management system. The study analyzes prenatal and postnatal screening practices, the effectiveness of pulse oximetry screening, the functioning of referral systems, issues of regional accessibility, and existing organizational barriers.

The research was conducted using a mixed-methods approach. Data were collected through anonymous electronic questionnaires designed for both healthcare professionals and parents of children diagnosed with congenital heart diseases. Quantitative data were processed using descriptive statistical methods, while responses to open-ended questions were analyzed through thematic analysis.

The findings revealed that significant challenges still exist in the early detection and management of congenital heart diseases in Georgia, including regional inequalities, shortages of highly qualified specialists and diagnostic resources, deficiencies in referral systems, and the absence of a unified national registry. At the same time, the introduction of pulse oximetry screening and the development of perinatal regionalization policies were identified as positive developments.

Based on the study findings, recommendations were developed to improve the early detection, diagnosis, and organizational management of congenital heart diseases in Georgia.

Keywords: congenital heart diseases, epidemiology, early diagnosis, pulse oximetry screening, fetal echocardiography, referral system, organizational management, perinatal regionalization, regional accessibility, Georgia.